სამშენებლო პროდუქტის იმორტის წინასწარი შეტყობინება

პროგრამის მომხამრებლის სახელმძღვანელო

ვერსია 1.0.0

მომზადებულია სსიპ შემოსავლების სამსახურის

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ

2019 წელი

სამშენებლო პროდუქტის იმპორტზე ნებართვის მისაღებად უნდა მოხდეს წინასწარი შეტყობინების გადაგზავნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში. ამისათვის გააქტიურეთ ღილაკი „ახალი განცხადების რეგისტრაცია“ და შემდეგ აირჩიეთ განცხადება „სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“



შედეგად სისტემა გამოიტანს ფანჯარას , სადაც უნდა მოხდეს სამშენებლო პროდუქტზე ინფორმაციის შევსება .

ნებართვის გაცემას ექვემდებარება 4 ტიპის პროდუქტი: ცემენტი, ელექტრო კაბელი, არმატურა და პლასტმასის მილი.

შესაძლებელია ერთი შეტყობინებით მოხდეს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე პროდუქტზე ნებართვის მოთხოვნა. ამისათვის გააქტიურეთ შესაბამისი ჩანართი, რომელი ტიპის პროდუქტზეც გსურთ ინფორმაციის შევსება.

გააქტიურეთ ის ჩანართი, რომელი ტიპის პროდუქტზეც უნდა შეავსოთ ინფორმაცია



ცემენტი/ ელექტრო კაბელი:

ცემენტის და ელექტრო კაბელების შესახებ ინფორმაცია შეივსება ერთნაირად. ამ შემთხვევაში აუცილებლად შესავსები ველებია:

- პროდუქციის დასახელება
- კოდი
- წონა/რაოდენობა
- ზომის ერთეული
- ინვოისის ნომერი
- ინვოისის თარიღი
- ფაილის ატვირთვა- გარდა საკანონმდებლო გამონაკლისის ველების შევსებისას.

შეავსეთ ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის და ექსპორტიორის შესახებ, რომელიც არაა სავალდებულო ველები.

ასევე უნდა წარმოადგინოთ კონკრეტულ პროდუქციაზე სათანადო დოკუმენტაციიდან ერთ-ერთი:

- თვისებების დეკლარაცია
- შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი
- საკანონმდებლო გამონაკლისი

ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან თუ შეივსება ერთ-ერთი, ავტომატურად მოხდება სხვა დოკუმენტების შესაბამისი ველების დაბლოკვა.

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა მხოლოდ თვისებების დეკლარაციის და შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების წარმოდგენის დროს. იმ შემთხვევაში, თუ შეივსება საკანონმდებლო გამონაკლისის საფუძველი, სავალდებულოდ შესავსები ველი ხდება მისი დამატებითი ინფორმაცია, ხოლო ფაილის ატვირთვა არ არის სავალდებულო.

პროდუქციის შესახებ ყველა ველის დასათვალიერებლად ისარგებლეთ „სქროლ-ღილაკით“



სქროლ-ღილაკი

პროდუქციაზე შევსებული ინფორმაციის დასამახსოვრებლად გააქტიურეთ ღილაკი „დამატება“



მოახდინეთ შევსებული ინფორმაციის დამატება

იმის მიხედვით, თუ რამდენ პროდუქციაზე ხდება ინფორმაციის შევსება, იმდენჯერ უნდა მოხდეს „დამატება " ღილაკის გააქტიურება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება შევსებული ინფორმციის დამახსოვრება.

არმატურა:

ამ შემთხვევაში აუცილებლად შესავსები ველებია:

- პროდუქციის დასახელება
- კოდი
- წონა/რაოდენობა
- ზომის ერთეული
- ინვოისის ნომერი
- ინვოისის თარიღი
- ფაილის ატვირთვა

შეავსეთ ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის და ექსპორტიორის შესახებ, რომელიც არაა სავალდებულო ველები.

ასევე უნდა წარმოადგინოთ კონკრეტულ პროდუქციაზე სათანადო დოკუმენტაცია:

- შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი
- შემოწმების სერტიფიკატი 3.1
- შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან თუ შეივსება „შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის“ ან „შემოწმების სერტიფიკატი 3.1“ ველები, ავტომატურად მოხდება „შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის“ ველების დაბლოკვა.

არმატურის შემთხვევაში ფაილის ატვირთვა სავალდებულოა ყველა სათანადო დოკუმენტის წარმოდგენისას.

პროდუქციაზე შევსებული ინფორმაციის დასამახსოვრებლად გააქტიურეთ ღილაკი „დამატება“.



მოახდინეთ შევსებული ინფორმაციის დამატება

იმის მიხედვით, თუ რამდენ პროდუქციაზე ხდება ინფორმაციის შევსება, იმდენჯერ უნდა მოხდეს „დამატება “ ღილაკის გააქტიურება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება შევსებული ინფორმციის დამახსოვრება.

პლასტმასის მილი:

ამ შემთხვევაში აუცილებლად შესავსები ველებია:

- პროდუქციის დასახელება
- კოდი
- წონა/რაოდენობა
- ზომის ერთეული
- ინვოისის ნომერი
- ინვოისის თარიღი
- ტექნიკური დოკუმენტის ტიპი

- ფაილის ატვირთვა

შეავსეთ ინფორმაცია კონკრეტული საქონლის მწარმოებლის და ექსპორტიორის შესახებ, რომელიც არაა სავალდებულო ველები.

ასევე უნდა წარმოადგინოთ კონკრეტულ პროდუქციაზე სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციიდან ერთ-ერთი:

- ტექნიკური პასპორტი
- ინსტრუქცია
- სხვა დოკუმენტი

ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან თუ შეივსება „შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის“ ან „შემოწმების სერტიფიკატი 3.1“ ველები, ავტომატურად მოხდება „შესაბამისობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის“ ველების დაბლოკვა.

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა ყველა სათანადო დოკუმენტზე.

პროდუქციაზე შევსებული ინფორმაციის დასამახსოვრებლად გააქტიურეთ ღილაკი „დამატება“.



მოახდინეთ შევსებული ინფორმაციის დამატება

იმის მიხედვით, თუ რამდენ პროდუქციაზე ხდება ინფორმაციის შევსება, იმდენჯერ უნდა მოხდეს „დამატება “ ღილაკის გააქტიურება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება შევსებული ინფორმციის დამახსოვრება.

პროდუქციის შესახებ ინფორმაციის შევსების შემდეგ შევასეთ შემდეგი აუცილებელი ინფორმაცია:

- პასუხისმგებელი პირის ს/ნან პ/ნ
- პასუხისმგებელი პირის დასახელება
- პასუხისმგებელი პირის მისამართი
- პასუხისმგებელი პირის ტელეფონი
- სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე
- სატრანსპორტო საშუალება სდანიშნულების ადგილზე

განცხადების სრულად შევსების შემდეგ გააქტიურეთ ღილაკი „გადაგზავნა“.



გააქტიურეთ ღილაკი

შედეგად შეტყობინებას ენიჭება უნიკალური ნომერი და ხდება მისი გადაგზავნა ეკონომიკის სამინისტროში.

თქვენს მიერ დარეგისტრირებული შეტყობინების დათვალიერება შესაძლებელია განცხადებების რეესტრში.



თავდაპირველად შეტყობინებას ენიჭება სტატუსი „განიხილება“, სანამ მოხდება რეაგირება ეკონომიკის სამინისტროს მიერ.

სტატუსი „უარყოფითი “ ნიშნავს სამშენებლო პროდუქტის იმპორტზე ნებართვის არ გაცემას.

სტატუსი „დადებითი“ - სამშენებლო პროდუქტის იმპორტზე ნებართვის გაცემას.

სტატუსი „დამატებითი მოკვლევა“- პროდუქციაზე მიმდინარეობს ლაბორატორიი კვლევა და საჭიროებს დამატებით დროს გადაწყვეტილების მისაღებად.

ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაბრუნებული პასუხის დასათვალიერებლად დადექით კონკრეტულ შეტყობინებაზე. შედეგად სისტემა გამოიტანს ფანჯარას, სადაც შეძლებთ, როგორც თქვენს მიერ დარეგისტრირებული განცხადების, ასევე სააგენტოს მიერ დაბრუნებული პასუხის დათვალიერებას.



სააგენტოს მიერ დაბრუნებული პასუხი

თქვენს მიერ დარეგისტრირებული შეტყობინება